საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №48, 09.08.2010, მუხ. 312) დაემატოს შემდეგი შინაარსის 49^3 მუხლი:

„მუხლი 49^3. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის (კონტრაჰენტის) მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებები

1. თუ სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის/მართვის უფლებით გადაცემის/სარგებლობაში გადაცემის პირობის შესრულება საგანგებო მდგომარეობის გამო შეუძლებელია ან გართულებულია, შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ან/და ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას ამ მხარის (პირის) მიერ ქონების მმართველისათვის სათანადო თხოვნით მიმართვის საფუძველზე, ქონების მმართველის წარდგინებით იღებს საქართველოს მთავრობა. ასეთ შემთხვევაში ამ კანონის 49^1 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ მოქმედებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარემ ქონების მმართველს უნდა მიმართოს საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვისა, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.“.

მუხლი 2. „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანებითა და 21 აპრილის №2 ბრძანებით გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარემ მის მიმართ განსახორციელებელი, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ან/და ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ თხოვნით ქონების მმართველს უნდა მიმართოს ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

13 ივლისი 2020 წ.

N6757-რს